

დამტკიცებულია

თჰუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მაისის N10/2018 გადაწყვეტილებითა და

თჰუ რექტორის 2018 წლის 7 მაისის N92/07 ბრძანებით

მოდირიფიცირებულია

თჰუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 ივლისის N 8/2020 გადაწყვეტილებით

აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობა

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები

1.1 ეს წესი არეგულირებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობას, პროგრამის ხელმძღვანელის არჩევის წესს, დარგობრივი კომისიების დაკომპლექტების წესს, ხელმძღვანელისა და დარგობრივი კომისიის ძირითად ფუნქციებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი

2.1 აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი ან ასისტენტი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება;

2.2 აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურას პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისია წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. საბჭო განიხილავს შეთავაზებულ კანდიდატურას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო განიხილავს შეთავაზებულ კანდიდატურას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ამტკიცებს მას 4 წლის ვადით.

2.3 აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ერთ აკადემიურ პროგრამას.

მუხლი 3. აკადემიური პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისია

3.1 აკადემიური პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისია შედგება უნივერსიტეტის მინიმუმ 3 აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალისგან, რომლებიც ფლობენ პროგრამის შესაბამისი დარგობრივი მიმართულებით სასწავლო/პრაქტიკულ/კვლევით გამოცდილებას. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

3.2 პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისიის წევრებად ასევე იქნებიან მოწვეული პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტები და პოტენციური დამსაქმებლები;

3.3 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისიის წევრების კანდიდატურებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს;

3.4 აკადემიური პროგრამის პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისიას ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს 4 წლის ვადით.

მუხლი 4. აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები

4.1 აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურ მონაწილეობას იღებს პროგრამის შემუშავებაში, მის განხორციელებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი:

- ორგანიზებას უწევს პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისიის მიერ აკადემიური პროგრამის შემუშავებას;
- დარგში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროგრამის პერიოდულ შეფასებას და ზრუნავს მის განვითარებაზე;
- უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებას და წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის;
- მონაწილეობს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ადმინისტრაციულ პროცესებში, როგორცაა: სტუდენტთა კონსულტაციები, პროგრამის პოპულარიზაციის ღონისძიებები, პროგრამაზე მიღების პროცედურები და სხვა ექსტრაკურსული აქტივობები;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის დებულების საფუძველზე, ახდენს პროგრამის შინაარსის ანალიზსა და გადასინჯვას;
- ყოველწლიურად წარუდგენს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს აკადემიურ საბჭოს;
- ხელს უწყობს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანაშრომლობის გაღრმავებას და მათთან ერთად ერთობლივი პრაქტიკული, კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების შემუშავებას.

მუხლი 5. აკადემიური პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისიის მოვალეობები

5.1 აკადემიური პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისია, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულია პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. კერძოდ, პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისია:

- შეიმუშავებს კურიკულუმს და მასთან დაკავშირებულ საჭირო დოკუმენტაციას;
- მონაწილეობს პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში;
- მონაწილეობს პოტენციურ დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებულ სამუშაო შეხვედრებში და ექსტრაკურიკულურ აქტივობებში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე განიხილავს წარმოდგენილი ცვლილებების მიზანშეწონილობის საკითხს;
- განიხილავს ახალი სასწავლო კურსის პროგრამაში დამატების საკითხს.

მუხლი 6. აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისიის მიერ განხორციელებული ცვლილებები

6.1 აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგობრივი კომისიის მიერ გაწერილი განსახორციელებელი ცვლილებები ფორმდება ოქმის სახით და გადაეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

6.2 აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივ კომისიასთან შეთანხმებულ პროგრამულ ცვლილებებს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

